საბანკო სექტორის ფინანსური სტაბილურობის ანალიზი

თამარ გომელაური

ნათელა დოლბაია

ლიკა მალიშავა

სადისერტაციო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად“

საბანკო საქმე და ფინანსები

პროექტის ხელმძღვანელი: ალექსანდრე ერგეშიძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

„ როგორც წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად. “

თამარ გომელაური

ნათელა დოლბაია

ლიკა მალიშავა

26.06.2019

აბსტრაქტი

წარმოდგენილი ნაშრომის მიზანია შეაფასოს საქართველოს საბანკო სექტორის სტაბილურობა და შეიმუშავოს ინდიკატორი, რომელიც საშუალებას მოგვცემს გარკვეული პერიოდით ადრე განვსაზღვროთ კრიზისის მოხდენის შესაძლებლობა. შედეგად, პოლიტიკის გამტარებლები შეძლებენ დროულად მოახდინონ რეაგირება, რაც შეამცირებს, როგორც კრიზისის მოხდენის ალბათობას, ასევე მის უარყოფით გავლენას ეკონომიკაზე. საბანკო სექტორში არსებული რისკების გაანალიზება არის კომპლექსური და მრავალმხრივი ფენომენი. აქედან გამომდინარე, ჩვენ მხედველობაში მივიღეთ რისკის სხვადასხვა იდენტიფიკატორები და საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით ინდექსი შევიმუშავეთ 2005–2019 წლებისთვის. კვლევის მიხედვით, აღნიშნული ინდექსი ერთი კვარტლით ადრე იძლევა სიგნალს კრიზისის მოხდენაზე.

ძირითადი საძიებო სიტყვები: საბანკო სექტორის სტაბილურობა, რისკის შეფასება, პოტენციური ფინანსური შოკები, ფინანსური რეცესია.

Abstract

The purpose of the presented work is to estimate the stability of the Georgian banking system and develop the identifier, which will warn us to determine the possibility of a crisis for a certain period earlier. As a result, policy implementers will be able to react in a timely manner, which will be reduced the probability of a crisis and its negative impact on the economy. Analyzing the risks in the banking system is a complex and many sided phenomenon. Therefore, we have taken the different risk identifiers. We developed the risk identifiers from 2005 to 2019 by using the international methodology. According to the survey, the above-mentioned gives a signal to a crisis before a quarter.

Key words: Banking system stability, Risk assessment, Potencial financial shokes, Financial recession.